



საჩუქრეთა წიგნი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

**საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და
საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის
სამინისტროს ხელმძღვანელობას**

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020
წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური აუდიტის
შედეგების შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეს
ბატონ ვალერიან გობრონიძეს

ბატონო ვალერიან,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

პატივისცემით,

ნოდარ ჯავახიშვილი

გენერალური აუდიტორის მოადგილე

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის
მინისტრის მოადგილეს
ბატონ იოსებ ბადათურიას

ბატონო იოსებ,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, შედეგად გაიცა პირობითი დასკვნა.

აუდიტი ჩატარდა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად.

აუდიტის შედეგად გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ, წარმოგიდგენთ ჩვენს რეკომენდაციებს და ხელმძღვანელობისთვის მნიშვნელოვან სხვა ინფორმაციას.

პატივისცემით,

ნოდარ ჯავახიშვილი

გენერალური აუდიტორის მოადგილე

შინაარსი

ტერმინები და შემოკლებები	3
1. რეკომენდაციები	4
2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები	14
3. წინა პერიოდში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა ..	21
საკონტაქტო ინფორმაცია	23

ტერმინები და შემოკლებები

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

ვაუჩერი – ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც განკუთვნილია მოსწავლის მიერ ზოგადი განათლების მიღების დასაფინანსებლად.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

რესურსცენტრი – საგანმანათლებლო რაიონული რესურსცენტრი.

სამინისტრო – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

სააგენტო – სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

სამედიცინო უნივერსიტეტი – სსიპ – თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.

თსუ – სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სსბასს – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS).

ტექნიკური უნივერსიტეტი – სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

ცენტრალური აპარატი – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცენტრალური აპარატი.

ცენტრი – სსიპ – განათლების საერთაშორისო ცენტრი.

1.1 კონსოლიდაცია

აუდიტის მიგნება

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანად ელიმინირებული უნდა იყოს შიდაჯგუფური შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიკურ ერთეულში შემავალ ერთეულთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან.¹

სამინისტროს მიერ ელიმინირებული თანხებიდან:

-)/ ზედმეტად ელიმინირებულია – 4,882,474 ლარი;²
 -)/ არ არის ელიმინირებული – 34,399 ლარი;³
 -)/ 32 02 01 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პროგრამის ფარგლებში ელიმინირებული თანხები მოიცავს იმ ერთეულებს, რომლებიც არ არიან სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული სკოლები,⁴ სულ – 18,568,348 ლარი. სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული სკოლების ფინანსური ანგარიშგებები კონსოლიდირებულია მხოლოდ მიღებული დაფინანსების ფარგლებში, რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს.⁵
- აუდიტის ჯგუფმა გამოითხოვა ინფორმაცია აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების შესახებ, რის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:
- რიგ შემთხვევებში გადარიცხული თანხები არ არის სრულად ათვისებული და ხარჯად აღიარებული;
 - რიგ შემთხვევებში არ არის წარმოდგენილი სრული ინფორმაცია ათვისებული და/ან ხარჯად აღიარებული თანხების შესახებ;
 - რიგ შემთხვევებში გადარიცხული თანხები ათვისებული და, შესაბამისად, ხარჯად აღიარებულია სხვადასხვა კლასიფიკაციით.

ამასთანავე, აუდიტის ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებულია ისეთი შიდაჯგუფური ოპერაციები, რომლებიც არ არის ელიმინირებული, კერძოდ:

-)/ სხვადასხვა პროგრამული კოდის⁶ ფარგლებში განხორციელებული ოპერაციები, სულ – 10,652,769 ლარი.
-)/ სააგენტოს საჯარო სკოლებისთვის სხვა არაფინანსური აქტივების გადაცემით წარმოქმნილი ოპერაციები, სულ – 21,614,164 ლარი.

მიზეზი

კონსოლიდაციის პროცესში არსებული კონტროლის ნაკლოვანება.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული შემოსავლებისა და ხარჯების ოპერაციებში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებისას უზრუნველყოფს შიდაჯგუფური ოპერაციების შედარებას და ელიმინირებას (გამორიცხვას), მათ შორის, საჯარო სკოლების დონეზე. ასევე სამინისტრომ განიხილოს იმ ერთეულების კონსოლიდაციის საკითხი, რომლებიც არ აკმაყოფილებენ კონსოლიდაციას დაქვემდებარებული ერთეულების კრიტერიუმებს, შეიმუშაოს და დაინერგოს შესაბამისი მექანიზმები გადარიცხული თანხების კონტროლისთვის.

¹ სსბასს 35, მუხლი 40.

² 32 04 02 04 კოდი - 850,575 ლარი, 32 03 01 01 კოდი - 108,977 ლარი და 32 02 01 კოდი - 3,922,922 ლარი.

³ 32 06 კოდი - 31,192 ლარი და 32 02 13 01 კოდი - 3,206 ლარი.

⁴ კერძო სკოლები, გიმნაზიები და სკოლა-პანსიონები.

⁵ სსბასს 35, მუხლები: 14, 19 და 20.

⁶ 32 01; 32 02; 32 03; 32 04; 32 05; 32 07; 32 08; 32 09; 32 10; 32 11.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

1.2 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები, სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები და შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან

აუდიტის მიგნება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2020 წლამდე სწავლის გადასახადით წარმოქმნილ დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებს აღრიცხავდა ურთიერთგადაფარვით. აღნიშნული საფუძველით წარმოშობილი მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების 2020 წლის საწყისი ნაშთი შეადგენდა 0-ს (ნული), ხოლო სხვა მოკლევადიანი ვალდებულებებისა – 2,110,599 ლარს. მოთხოვნების/ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა არ შეესაბამება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს.⁷ ორგანიზაციის განმარტებით, 2020 წელს, დანერგილი სისტემის საშუალებით შესაძლებელი გახდა თითოეული სტუდენტის დონეზე დავალიანების დაანგარიშება, თუმცა აღნიშნული სისტემა არ არის სრულად დანერგილი და მუშაობს სატესტო რეჟიმში. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კი, სისტემის მიხედვით ინდივიდუალური დავალიანებების ჯამი 310,932 ლარით ნაკლებია, აღრიცხული კრედიტორული დავალიანების ნაშთზე.

ტექნიკურ უნივერსიტეტს ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახული აქვს სტუდენტების მიმართ 9,785,041 ლარის დებიტორული და 2,569,936 ლარის კრედიტორული დავალიანება, რომელიც წარმოქმნილია სწავლის გადასახადიდან. კრედიტორული დავალიანება 2020 წელს უცვლელია, ხოლო დებიტორული დავალიანება გაზრდილია 4,995,909 ლარით. უნივერსიტეტმა 2020 წელს განახორციელა დავალიანებების ურთიერთგადაფარვა, რაც არ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.⁸

ბუღალტრულად აღრიცხულ თანხებსა და ინდივიდუალურ დავალიანებებს შორის ფიქსირდება სხვაობა; ასევე სტუდენტები ინფორმაციას ფლობენ სემესტრულად გადასახდელ თანხებზე, სასწავლო წელი კი, არ ემთხვევა საანგარიშგებო წელს. აღნიშნული გარემოების გამო, აუდიტის ჯგუფმა ვერ გაგზავნა დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული პროცედურებით დაადასტურა აღრიცხული დავალიანებები.

ტექნიკურ უნივერსიტეტს მუხლში – „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან, გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა“ ასახული აქვს საკასო შემოსავლები, სულ – 48,603,414 ლარი, რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს.⁹ უნივერსიტეტმა ვერ წარმოგვიდგინა საკმარისი და შესაფერისი სააღრიცხვო ჩანაწერები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი გახდებოდა აღნიშნული არასწორი სააღრიცხვო პოლიტიკის ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის დადგენა. შესაბამისად, ჩვენ ვერ ვადასტურებთ, რა ოდენობის ფაქტობრივი შემოსავალი მიიღო უნივერსიტეტმა 2020 წელს.

თსუ-ის კრედიტორულ დავალიანებაში ასახულია 4,139,121 ლარის სტუდენტების სწავლის გადასახადიდან წარმოქმნილი ვალდებულებები და 4,379,982 ლარის მოთხოვნები. ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია, სტუდენტების მიხედვით წარმოდგენილი დავალიანებები, განსხვავდება აღრიცხული დავალიანებებისგან, შესაბამისად, 73,963 ლარით და 9,628 ლარით.

⁷ სსპას 1, მუხლი 48.

⁸ სსპას 1, მუხლი 48.

⁹ აღრიცხვის ინსტრუქციის მუხლი 2.

	ორგანიზაციაში არ არის დამტკიცებული სააღრიცხვო პოლიტიკა სწავლის გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით. სტუდენტების სწავლის გადასახადი აღრიცხება MS Access-ში, რომლიდანაც ვერ ხერხდება წინა თარიღით ანგარიშის ამოღება.
მიზეზი	აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა და კონტროლის სისუტე.
გავლენა	ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ და „სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების“ – 2,110,599 ლარის საწყისი ნაშთის სისრულეზე. ამასთანავე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება „მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებების“ – 9,785,041 ლარის და „სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების“ – 2,569,936 ლარის საბოლოო ნაშთის სისრულესა და სისწორეზე. ასევე, შედეგად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში „შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან, გარდა პროცენტისა და გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლებისა“, მუხლში ასახული 48,603,414 ლარის სისრულესა და სისწორეზე.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ხელმძღვანელობამ შეარჩიოს და დანერგოს აღრიცხვის ისეთი სისტემა, სადაც შესაძლებელი იქნება სტუდენტების სწავლის საფასურის მიხედვით განხორციელებული ოპერაციების (დარიცხვა, გადახდა და ა.შ.) საბუღალტრო რეგისტრებში სრულად და დროულად ასახვა. ამასთანავე, შემუშავდეს და დაინერგოს კონტროლის ისეთი მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ოპერაციების ამსახველი მტკიცებულებითი ბაზის საიმედოობას და სისრულეს.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	ოსუ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ტექნიკური უნივერსიტეტი.
1.3 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მიმდინარე ინვესტიციები	
აუდიტის მიგნება	სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება გრძელვადიანი ფინანსური აქტივები 138,150,950 ლარის ოდენობით, საიდანაც 84,823,405 ლარი აღრიცხულია ანგარიშზე – ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში. აღნიშნული თანხა 100%-იანი წილის მართვის უფლებით გადმოცემულ შპს „სპორტმშენსერვისში“ განხორციელებული ფულადი შენატანებია. ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს როგორც ფულადი, ისე არაფულადი შენატანები. სამინისტროს ასახული აქვს მხოლოდ ფულადი შენატანები და არ იყო ასახული შპს „სპორტმშენსერვისში“ განხორციელებული ქონებრივი შენატანები და კაპიტალის შემცირება,¹⁰ შესაბამისად, 135,911,737 ლარის და 35,526,614 ლარის ოდენობით. მხოლოდ ფულადი შენატანების ასახვა ვერ უზრუნველყოფს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს ყველა საჭირო ინფორმაციით, რაც ზრდის შეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღების რისკებს.

¹⁰ წარმოდგენილია 2013-2020 წლების ბრძანებები და რიგ შემთხვევებში - აუდიტის დასკვნები.

სამედიცინო უნივერსიტეტს გრძელვადიანი აქტივების ანგარიშზე ასახული აქვს 2020 წელს შეძენილი 40%-იანი წილი შპს „გნ კო“-ში, სულ – 36,835,200 ლარი.

სამინისტრო არის 100%-იანი წილის მმართველი შპს „სპორტმშენსერვისში“, სადაც განხორციელებული აქვს როგორც ფულადი, ისე ქონებრივი შენატანები.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს მიმდინარე ინვესტიციების ანგარიშზე ასახული აქვს 514,181 ლარის აქტივი. აღნიშნული დებიტორული დავალიანება უნივერსიტეტის მიერ 2009 წელს დაფუძნებულ შპს „უნი ინვესტი“ ჩადებული კაპიტალია,¹¹ თანხები ჩაირიცხა 2009-2013 წლებში.¹² თავის მხრივ, შპს „უნი ინვესტი“ 2012 წელს დააფუძნა შპს „ინოვესტი“.¹³ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 28 ივლისის №5 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით, ზემოთ მითითებულ იურიდიულ პირებს შეჩერებული აქვთ ფინანსური საქმიანობა. შესაბამისად, იმის გამო, რომ ორგანიზაციები აღარ ფუნქციონირებს, 2014 წლის 31 დეკემბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში ანგარიშის ნაშთი უცვლელია, რაც ასახულია ასევე განმარტებით შენიშვნებში.

საჯარო სექტორის კომერციულ ერთეულებში, არსებული წილების ასახვის მიზნით გამოიყენება კაპიტალ-მეთოდი.¹⁴ ასევე სსბას 36-ში, „ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში“ – კაპიტალ-მეთოდი გულისხმობს წილობრივი მონაწილეობის თავდაპირველ აღრიცხვას თვითღირებულების საფუძველზე, ხოლო შემდეგ მის კორექტირებას მეკავშირე ერთეულის ან ერთობლივი საქმიანობის „წმინდა აქტივებში/კაპიტალში“ ინვესტორის კუთვნილ წილში შეძენის შემდგომ მომხდარი ცვლილების შესაბამისად.¹⁵ **სამინისტროს, სამედიცინო უნივერსიტეტსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს** კაპიტალ-მეთოდით არ შეუფასებიათ წილები.

მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა.

გავლენა

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშის საბოლოო ნაშთის – 121,658,605 ლარის და „მიმდინარე ინვესტიციებში“ აღრიცხული – 514,181 ლარის სისწორესა და სისრულეზე.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია შემუშავდეს არსებული წილების აღრიცხვის პოლიტიკა. ორგანიზაციამ საიმედო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში კომპანიებში წილობრივი ინსტრუმენტების ასახვისთვის გაითვალისწინოს კაპიტალ-მეთოდის მოთხოვნები.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სამედიცინო უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1.4 ძირითადი აქტივები

აუდიტის მიგნება

სააგენტოს 2020 წელს მუხლში – „გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიების ხარჯი“ ასახული აქვს 6,433,339 ლარის სხვა არაფინანსური აქტივების გადაცემა საჯარო სკოლებისთვის, თუმცა მათ 5,666,825 ლარის ღირებულების მიღებული

¹¹ პარტნიორების წილის 100%-იანი მფლობელია სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ს/კ 204861970).

¹² 2009 წელს - 10,881 ლარის ოდენობით, 2012 წელს - 400,000 ლარის ოდენობით, 2013 წელს - 103,300 ლარის ოდენობით.

¹³ შპს „ინოვესტი“ (ს/კ 406066625) პარტნიორების წილის 100%-იანი მფლობელია შპს „უნი ინვესტი“ (ს/კ 205285519).

¹⁴ აღრიცხვის ინსტრუქციის მუხლი 10, პუნქტი 46.

¹⁵ სსბას 36, მუხლი №8 განმარტებები.

შენობა-ნაგებობები, ფინანსურ ანგარიშგებაში არ აუსახავთ. ასევე, საჯარო სკოლებს 2020 წელს გადმოცემული 766,514 ლარის შენობა-ნაგებობები ასახული ჰქონდათ 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში, აქტივების საწყისი საბალანსო ღირებულება შეადგენდა 741,826 ლარს.

ტექნიკურ უნივერსიტეტს:

- J 2020 წლის 13 აგვისტოსა და 2020 წლის 18 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტებით გადმოცემული ავტოსატრანსპორტო საშუალებები ასახული აქვს 2021 წელს, სულ – 1,560,134 ლარის ღირებულებით;
- J 2019 წელს მიღებული აქტივები აღრიცხული აქვს 2020 წელს, სულ – 36,742 ლარის ღირებულებით.

მიზეზი

საბუღალტრო სამსახურისთვის დოკუმენტაციის დროულად მიწოდების კონტროლის მექანიზმების არარსებობა.

გავლენა

ფინანსური ანგარიშების „ძირითადი აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ოპერაციის ამსახველი სააღრიცხვო დოკუმენტების დროულ გადაგზავნას საბუღალტრო სამსახურში.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

ტექნიკური უნივერსიტეტი, სააგენტო და საჯარო სკოლები.

აუდიტის მიგნება

სსბასს 17 „ძირითადი აქტივების“ შესაბამისად,¹⁶ „აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს“, და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.¹⁷ რაც არ არის განხორციელებული. ორგანიზაციებს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვთ როგორც 2020 წლამდე, ისე 2020 წელს სრულად გაცვეთილი აქტივები, კერძოდ:

ინფორმაცია იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც აღრიცხული ჰქონდათ სრულად გაცვეთილი აქტივები, შემდეგია:

ცხრილი №1. სრულად გაცვეთილი აქტივები (ლარი)

დასახელება	თვითღირებულება და დაგროვილი ცვეთა
თსუ	2 374 866
სამედიცინო უნივერსიტეტი	121 863
ტექნიკური უნივერსიტეტი	808 574
სულ:	3 305 303

ასევე გამოვლენილია ისეთი აქტივები, რომლებსაც მიმდინარე პერიოდში დაერიცხა ცვეთა, სრულად გაცვეთილია და ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში, კერძოდ:

ცხრილი №2. მიმდინარე წელს სრულად გაცვეთილი აქტივები (ლარი)

¹⁶ მუხლი 67.

¹⁷ სსბასს 3-ის „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებისა და შეცდომების“ შესაბამისად.

დასახელება	თვითღირებულება და დაგროვილი ცვეთა
თსუ	1 915 818
სამედიცინო უნივერსიტეტი	581 668
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	1 341 963
ტექნიკური უნივერსიტეტი	3 702 738
სულ:	7 542 187

მიზეზი	სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.
გავლენა	ფინანსური ანგარიშების „ძირითადი აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მიზანშეწონილია ორგანიზაციამ ყოველი წლის ბოლოს შეაფასოს ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები და იმ შემთხვევაში, თუ სასარგებლო მომსახურების ვადები განსხვავებული იქნება არსებული შეფასებისგან, ცვლილებები ასახოს როგორც – სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, სსბას 3-ის შესაბამისად.
კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად	თსუ, სამედიცინო უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ტექნიკური უნივერსიტეტი.

1.5 არამატერიალური აქტივები და სხვა არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება	სააგენტოს 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს არამატერიალური აქტივები, სულ – 965,056 ლარი, რომელიც არის საპროექტო, სახარჯთაღრიცხვო, გეოლოგიური და გეოდეზიური კვლევების დოკუმენტაცია. ორგანიზაციის განმარტებით, 911,702 ლარის საპროექტო სამუშაოების შესაბამისად, დასრულებულია სამშენებლო სამუშაოები. სააგენტომ ვერ წარმოადგინა ინფორმაცია, აღნიშნული აქტივები ასახულია თუ არა სხვა არაფინანსურ აქტივებში ან გადაცემულია თუ არა სხვა ორგანიზაციისთვის. თსუ-ს აღრიცხული აქვს სხვა არაფინანსური აქტივები, სულ – 110,095 ლარი, რომელიც, უნივერსიტეტის განმარტებით, 2010 წელს შემოერთებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აქტივია. აღნიშნულთან დაკავშირებით დოკუმენტაცია უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა, არსებული მდგომარეობით მოცემული აქტივი არ გამოიყენება და უნივერსიტეტს არ განუხილავს აქტივის გაუფასურების საკითხი;
მიზეზი	კონტროლის სისუტე.
გავლენა	ფინანსური ანგარიშების „არამატერიალური აქტივების“ და „სხვა არაფინანსური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშებაში აღრიცხული აქტივების ინვენტარიზაციას და შესწავლას, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული აქტივები აღიარების კრიტერიუმებს.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად
აუდიტის მიგნება

სააგენტო და თსუ.

სსბასს 31 – „არამატერიალური აქტივების“ მიხედვით,¹⁸ უნდა შეფასდეს არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. კერძოდ, უნდა დადგინდეს, სასარგებლო მომსახურების ვადა განსაზღვრულია, თუ – განუსაზღვრელი. განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე აქტივებს ამორტიზაცია¹⁹ არ ერიცხებათ, მაგრამ სავალდებულოა ყოველწლიურად გაუფასურების ტესტირების ჩატარება.²⁰

ორგანიზაციაში არ გამოიყენება სსბასს 31-ის ზემოაღნიშნული მითითებები. არ არის დასაბუთებული არამატერიალურ აქტივებზე მინიჭებული სასიცოცხლო მომსახურების ვადების განსაზღვრის საკითხი. აქტივების აბსოლუტურ უმეტესობას მინიჭებული აქვს 10%-იანი ნორმა, მათ შორის, ისეთ აქტივსაც, რომელსაც წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით უფიქსირდება 10 წელზე ნაკლები სასარგებლო მომსახურების ვადა (მაგალითად, ავტორიზაცია/აკრედიტაცია) ან წარმოდგენს განუსაზღვრელი მომსახურების მქონე აქტივს (მაგალითად, აუდიოჩანაწერები, ფილმები, წიგნები და ა.შ.).

დეტალური ინფორმაცია სამინისტროს იმ სტრუქტურული ერთეულების შესახებ, სადაც გამოვლენილია მსგავსი ტიპის ხარვეზები, წარმოდგენილია ცხრილში №3.

ცხრილი №3. ინფორმაცია არამატერიალური აქტივების შესახებ (ლარი)

დასახელება	ისტორიული ღირებულება	საბალანსო ღირებულება
ცენტრალური აპარატი	2 257 957	1 311 591
ტექნიკური უნივერსიტეტი	2 272 312	734 090
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი	787 072	386 479
სამედიცინო უნივერსიტეტი	83 379	72 917
სულ:	5 400 720	2 505 077

მიზეზი

აღრიცხვის არასათანადო პრაქტიკა, სტანდარტის მოთხოვნების შეუსრულებლობა.

გავლენა

ფინანსური ანგარიშების „არამატერიალური აქტივების“ მუხლში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ორგანიზაციამ არამატერიალური აქტივები დააკლასიფიციროს როგორც განსაზღვრული და განუსაზღვრელი მომსახურების ვადების მქონე აქტივები და განუსაზღვრელი სასიცოცხლო მომსახურების ვადის მქონე აქტივებზე ყოველწლიურად ჩაატაროს გაუფასურების ტესტირება.

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და სამედიცინო უნივერსიტეტი.

¹⁸ სსბასს 31, მუხლი 87.

¹⁹ სსბასს 31, მუხლი 106.

²⁰ სსბასს 31, მუხლი 107.

აუდიტის მიგნება

სამინისტროში არ არის შემუშავებული და დანერგილი ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

სამინისტროში კონტროლირებული ერთეულები ანალოგიური ოპერაციების მიმართ იყენებენ განსხვავებულ სააღრიცხვო პოლიტიკას, მაგალითად:

-) კონსოლიდირებულ 20 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მოქმედებს განსხვავებული სააღრიცხვო პოლიტიკა სწავლის გადასახადიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვაზე. გამოყენებულია როგორც საკასო მეთოდი, ისე სასწავლო კრედიტების მიხედვით მიკუთვნებული თანხების დაანგარიშების მიდგომა, ასევე სემესტრულად დაანგარიშების მიდგომა და ა.შ.;
-) კონსოლიდირებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განსხვავებულია აკრედიტაციის განაცხადის განხილვის საფასურის აღრიცხვის წესი. ორგანიზაციების ნაწილი აღნიშნულ თანხებს აღიარებს ხარჯად, ნაწილი კი აღრიცხავს მას, როგორც არამატერიალურ აქტივს.

მიზეზი

არათანმიმდევრული და არასწორი სააღრიცხვო პრაქტიკა.

გავლენა

ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია სამინისტრომ შეიმუშაოს და დანერგოს ისეთი სააღრიცხვო პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც ხელს შეუწყობენ განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომების შედეგად გამოწვეული უზუსტობების მინიმუმამდე შემცირებას.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

1.7 სასამართლო დავები**აუდიტის მიგნება**

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე,²¹ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.²²

სამინისტროში არ არის შემუშავებული პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, არ არის ფორმალიზებული საფინანსო და იურიდიული სამსახურის კომუნიკაციის წესი და პირობები, არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება მოთხოვნები, ვალდებულებები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები.

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით,²³ ინფორმაცია პირობითი აქტივების და პირობითი ვალდებულებების შესახებ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საცნობარო ანგარიშგებზე.

2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საცნობარო ანგარიშგებსა და განმარტებით შენიშვნებში არ არის

²¹ სსბასს 1, მუხლი 27.

²² სსბასს 19.

²³ მუხლი 10, პუნქტი 30.

ასახული ინფორმაცია პირობით აქტივებსა და პირობით ვალდებულებებზე, კერძოდ:

-) თსუ-ის,²⁴ ტექნიკური უნივერსიტეტის,²⁵ სააგენტოს²⁶ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის²⁷ „პირობითი აქტივები“, სულ – 572,464 ლარი;
-) თსუ-ის,²⁸ სამედიცინო უნივერსიტეტის,²⁹ სააგენტოს³⁰ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის³¹ „პირობითი ვალდებულებები“, სულ – 1,379,698 ლარი.

მიზეზი

კონტროლის სისუტე.

გავლენა

ფინანსური ანგარიშგების საცნობარო მუხლებში არსებული უზუსტობები.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, მნიშვნელოვანია შემუშავდეს პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, ჩამოყალიბდეს დროული და ფორმალიზებული კომუნიკაცია საფინანსო და იურიდიულ სამსახურებს შორის, შეფასდეს სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგები და, შესაბამისად, აისახოს ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნები, ვალდებულებები, პირობითი აქტივები და პირობითი ვალდებულებები.

კომპონენტები, რომლებზეც გაიცა რეკომენდაცია შესასრულებლად

თსუ, ტექნიკური უნივერსიტეტი, სამედიცინო უნივერსიტეტი, სააგენტო და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1.8 საბანკო ანგარიშები

აუდიტის მიგნება

16 ორგანიზაციის შემთხვევაში გამოვლინდა, რომ გადარიცხვებში ფიქსირდება სხვადასხვა მიმღები, ერთი საბანკო ანგარიშის ნომრით. მიღებული დოკუმენტაციით, შესრულებული გადარიცხვების ნაწილი გასწორებულია გადარიცხვის წელსვე, ხოლო ნაწილი – 2021 წელს.

თსუ-ის შემთხვევაში, ერთ-ერთ საბანკო ანგარიშზე ფიქსირდება ექვსი სხვადასხვა მიმღები. აღნიშნულ ანგარიშზე „შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა ანაზღაურების“ მუხლით 2020 წელს გადარიცხულია 37,333.56 ლარი. მითითებული ექვსი პირიდან არც ერთი არ არის აღნიშნული ანგარიშის მფლობელი, ამასთანავე, მოცემულ ანგარიშზე გადარიცხული თანხების საფუძვლები³² უნივერსიტეტმა ვერ წარმოადგინა. ასევე ფიქსირდება შემთხვევები ერთი საბანკო ანგარიშით და ორი მიმღებით, თუმცა ამ გადარიცხვების საფუძვლები უნივერსიტეტს არ წარმოუდგენია.

მიზეზი

კონტროლის სისუტე.

გავლენა

ფინანსური რესურსების არასწორი განკარგვის რისკი.

რეკომენდაცია

სამინისტრომ დანერგოს შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს საბანკო ანგარიშებისა და მიმღები პირების შეუსაბამობის შემთხვევაში ხარვეზის გამოვლენას და დროულ რეაგირებას.

²⁴ 93,187 ლარი.

²⁵ 52,963 ლარი.

²⁶ 296,314 ლარი.

²⁷ 130,000 ლარი.

²⁸ 111,319 ლარი.

²⁹ 7,888 ლარი.

³⁰ 222,968 ლარი.

³¹ 1,037,523 ლარი.

³² შრომითი ხელშეკრულება/ბრძანება და ა.შ.

2021

კომპონენტები, რომლებზეც
გაიცა რეკომენდაცია
შესასრულებლად

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და საქართველოს
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

2. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული კორექტირებები

2.1 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები

აუდიტის მიგნება	სააგენტოს არ აქვს აღრიცხული კონტრაქტორი ორგანიზაციებისთვის დარიცხული ჯარიმები, სულ 496,511 ლარი.
კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა	სააგენტო.

2.2 ძირითადი აქტივები

აუდიტის მიგნება	სამედიცინო უნივერსიტეტს აღრიცხული აქვს მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის აპარატი, რომლის 2020 წლის საწყისი ნაშთია 333,146 ლარი და საბოლოო ნაშთი – 296,462 ლარი. აპარატი წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და განმარტების მიხედვით, აღარ გამოიყენება, რადგან დაზიანებულია ხანძრის შედეგად.
-----------------	--

თსუ-ს აღრიცხული აქვს ძირითადი აქტივები, სულ საბალანსო ღირებულებით – 127,975 ლარი და ისტორიული ღირებულებით – 263,580 ლარი, რომლებიც პასუხისმგებელი პირის განმარტებით, არ გამოიყენება, რადგან დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობებია.

საბიბლიოთეკო ფონდი

უნივერსიტეტებს ძირითად აქტივებში აღრიცხული აქვთ საბიბლიოთეკო ფონდები. იმ შემთხვევაში, როდესაც საბიბლიოთეკო ფონდებში ჩართულია საკოლექციო წიგნები, უნიკალური ხელნაწერები, გამოცემები და რარიტეტები, რომლებიც არ გამოიყენება მოხმარების მიზნით, განხილული უნდა იყოს, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული აქტივები ძირითად აქტივად აღრიცხვის კრიტერიუმს.³³

- J) თსუ-მ ვერ წარმოადგინა 27,221,131 ლარის ღირებულების საბიბლიოთეკო ფონდიდან, რა ნაწილია მიმდინარე გამოყენების.
- J) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განმარტებით, საბიბლიოთეკო ფონდი, გარდა თანამედროვე და პოპულარული გამოცემებისა, ასევე მოიცავს რარიტეტულ და იშვიათ გამოცემებსაც, სულ – 2,853,074 ლარის ღირებულებით.

გაუფასურების ტესტირება

თსუ-ს აღრიცხული აქვს: 1,895,823 ლარის ღირებულების ისეთი შენობა-ნაგებობები, რომლებიც უნივერსიტეტის განმარტებით, სარეაბილიტაციაო და არ გამოიყენება და 186,686 ლარის ღირებულების ისეთი შენობა-ნაგებობები, რომლებზეც ფაქტობრივ კონტროლს და გადაცემის დოკუმენტაციას უნივერსიტეტი არ ფლობს.

თსუ-ს ძირითად აქტივებში აღრიცხული აქვს 3,177,033 ლარის ღირებულების ისეთი შენობა-ნაგებობები, რომლებიც უნივერსიტეტის განმარტებით, არ გამოიყენება იმის გამო, რომ უნივერსიტეტი ვერ ახორციელებს მათზე ფაქტობრივ კონტროლს. კერძოდ, მითითებულ შენობა-ნაგებობებში განსახლებულნი არიან იძულებით გადაადგილებული პირები.

³³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციის მეთოდური განმარტებები, III. ფასეულობები (313).

ტექნიკურ უნივერსიტეტს აღრიცხული აქვს 23,665 ლარის აქტივები, მათ შორის, კულტივირებული მცენარეები. წარმოდგენილი განმარტებით, ეს აქტივები არ გამოიყენება.

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, სტანდარტში³⁴ მოცემულია ინფორმაცია გაუფასურების ინდიკატორების შესახებ. ორგანიზაციებს 2020 წელს არ ჩაუტარებიათ გაუფასურების ტესტირება.

აქტივების კლასიფიკაცია

სააგენტოს 2020 წელს სკოლებისთვის და პროფესიული სასწავლებლებისთვის შეძენილი და გადაცემული აქტივები³⁵ ასახული აქვს „ძირითადი აქტივების“ ანგარიშზე, შესაბამისად, 190,158 ლარი და 158,120 ლარი.

ლიკვიდირებული ორგანიზაციები

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია გასულ წლებში³⁶ ლიკვიდირებული პროფესიული სასწავლებლებისა და კოლეჯების, სამეცნიერო ცენტრებისა და ინსტიტუტების ბალანსზე რიცხული აქტივების ნაშთები, სულ – 559,442 ლარის³⁷ ოდენობით. არსებული გარემოება ასევე ასახული იყო 2019 წლის აუდიტის ანგარიშში, რომლის მიხედვით, აქტივების ადგილმდებარეობის შესახებ ზუსტი ინფორმაცია არ არსებობდა და არ იყო ჩატარებული ინვენტარიზაცია. აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ 2020 წელს რესურსცენტრებისგან გამოითხოვა აღნიშნული აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომელიც 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ იყო დაზუსტებული.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, თსუ, სამედიცინო უნივერსიტეტი, ტექნიკური უნივერსიტეტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და სააგენტო.

2.3 სხვა არაფინანსური აქტივები

აუდიტის მიგნება

თსუ-ს აღრიცხული აქვს ძირითადი აქტივები, სულ საბალანსო ღირებულებით – 127,975 ლარი და ისტორიული ღირებულებით – 263,580 ლარი, რომლებიც დაუმთავრებელი შენობა-ნაგებობებია (იხ. 1.4 ქვეთავი).

ცენტრალურ აპარატს³⁸ 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა არაფინანსური აქტივების“ ანგარიშზე ასახული აქვს 8,286,715 ლარის აქტივები, რომლის აღიარების საფუძველია 2019 წლის პირველადი დოკუმენტაცია.

კომპონენტები, სადაც გამოვლინდა დარღვევა

ცენტრალური აპარატი და თსუ.

2.4 სხვადასხვა შემოსავლები

აუდიტის მიგნება

სამედიცინო უნივერსიტეტი კურსთაშორისი სხვაობით მიღებულ შემოსავლებს აღრიცხავს საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ნაშთების ყოველდღიური გადაფასების საფუძველზე. შედეგად, 2020 წელს აღრიცხული აქვს „სხვადასხვა

³⁴ სსბასს 21, მუხლი 27 და სსბასს 26, მუხლი 25.

³⁵ პროექტორი, პერსონალური კომპიუტერი და ნოუთბუქი.

³⁶ 2002-2010 წლამდე პერიოდში.

³⁷ მოკლევადიანი აქტივები - 54,456 ლარი და გრძელვადიანი აქტივები - 504,986 ლარი.

³⁸ სპორტში ინვესტიციებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის (პროგრამული კოდი: 32 07 07) პროგრამის ფარგლებში.

შემოსავლების“ მუხლში 33,621,919 ლარი, ნაცვლად 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული გადაფასების შედეგისა, სულ – 6,529,859 ლარი.³⁹

ობიექტის განმარტებით, ბანკის ყოველდღიური გადაფასება აისახება ამონაწერში. იმისათვის, რომ ბანკის ამონაწერი და ბუღალტრული ნაშთები თანხვედრაში იყოს, გადაფასების თანხა აღიარდება შემოსავლად ან ხარჯად.

სააგენტოს 2020 წელს „სხვადასხვა შემოსავლებში“ აღრიცხული აქვს 2019 წლის 29 იანვარს შეფასებული 10 ავტოსატრანსპორტო საშუალება, ღირებულებით, სულ – 89,000 ლარი.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამედიცინო უნივერსიტეტი და სააგენტო.

2.5 გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები

აუდიტის მიგნება

სააგენტოს 2020 წელს მუხლში – „გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიების ხარჯი“ ასახული აქვს 6,433,339 ლარის სხვა არაფინანსური აქტივების გადაცემა საჯარო სკოლებისთვის, რაც სკოლებს 2020 წელს არ აუსახავთ (იხ. 1.4 ქვეთავი). აღნიშნული შიდაჯგუფური ოპერაცია ასახულია მხოლოდ სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

სააგენტოს 2020 წელს აღრიცხული აქვს 2019 წლის ტრანსპორტირების ხარჯები, სულ – 1,802,120 ლარი.

სააგენტომ 2018 წელს გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში თანხა გადაურიცხა სსიპ – პროფესიულ კოლეჯ „ლაკადას“ და სსიპ – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივ კოლეჯს, საერთო საცხოვრებლის მშენებლობის მიზნით, სულ – 5,647,790 ლარი. აქედან, 2020 წელს გაფორმებული შეთანხმებების საფუძველზე, კოლეჯებს დაევალით აუთვისებელი თანხის სააგენტოსთვის უკან დაბრუნება, რომელიც კოლეჯებს ნაცვლად ვალდებულების შემცირებისა, ასახული აქვთ როგორც „გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიების ხარჯი“, სულ – 5,227,444 ლარი.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სააგენტო, სსიპ – პროფესიული კოლეჯი „ლაკადა“ და სსიპ – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი.

2.6 ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები

აუდიტის მიგნება

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს წინა წლებში დაშვებული შეცდომის გასწორების მიზნით, გაზრდილი აქვს 2020 წლის ცვეთის ხარჯი, სულ – 1,017,012 ლარით, რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს,⁴⁰ რომლის მიხედვით, შეცდომა უნდა გასწორდეს რეტროსპექტულად.

სსიპ – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის მიერ ფინანსურ ანგარიშგებაში შემცირებულია „ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები“, სულ – 15,015 ლარით.

თსუ-ს 2020 წელს არ დაურიცხავს ცვეთა 174,821 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივებზე.

სამედიცინო უნივერსიტეტს ავტორიზაციის და აკრედიტაციის აღრიცხველობის შედეგად, 2020 წელს არ აქვს აღრიცხული ამორტიზაცია,

³⁹ სსბასს 4, მუხლი 27.

⁴⁰ სსბასს 3, მუხლი 47.

სულ – 18,001 ლარი (იხ. 2.6 ქვეთავი), ასევე აღრიცხული აქვს დაზიანებული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის აპარატის ცვეთა, სულ – 36,684 ლარი (იხ. 1.4 ქვეთავი).

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი, თსუ და სამედიცინო უნივერსიტეტი.

2.7 სხვადასხვა ხარჯები

აუდიტის მიგნება

სამედიცინო უნივერსიტეტი კურსთაშორისი სხვაობით მიღებულ ხარჯებს აღრიცხავს საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ნაშთების ყოველდღიური გადაფასების საფუძველზე. შედეგად, 2020 წელს „სხვადასხვა ხარჯების“ მუხლში აღრიცხული აქვს 27,094,289 ლარი, თუმცა 31 დეკემბრის მდგომარეობით მიღებული გადაფასების შედეგად, ხარჯი არ ფიქსირდება. ობიექტის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ ბანკი ახდენს ყოველდღიურ გადაფასებას, რაც აისახება ამონაწერში. იმისათვის, რომ ბანკის ამონაწერი და ბუღალტრული ნაშთები იყოს თანხვედრაში, გადაფასების თანხა აღიარდება ან შემოსავლად, ან ხარჯად.⁴¹

სააგენტოს 2020 წელს კონტრაქტორი ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში აღდგენილი საჯარიმო სანქციები აღრიცხული აქვს ორჯერ, როგორც ხარჯები – „მიდა ტრანსფერები“ და „სხვადასხვა ხარჯები“, სულ – 111,329 ლარი.

ტექნიკური უნივერსიტეტის საბუღალტრო გატარებებით სხვადასხვა ხარჯი შეადგენდა 35,099 ლარს, კონტრაქტორი ორგანიზაციის მიერ აღდგენილი საჯარიმო სანქციებით დარიცხული დავალიანება და ელენერგიის საფასური, სულ – 82,273 ლარი, უნივერსიტეტს აღრიცხული აქვს „სხვადასხვა ხარჯების“ ანგარიშის დაკრედიტებით, ნაცვლად ანგარიშისა – „ბიუჯეტის წინაშე წარმოქმნილი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები“.

ქობულეთის რესურსცენტრს „სხვადასხვა ხარჯებში“, 2019 წლის საფუძველით, ასახული აქვს მასწავლებლებისთვის გადარიცხული ფულადი ჯილდოები,⁴² სულ – 212,246 ლარი.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამედიცინო უნივერსიტეტი, სააგენტო, ტექნიკური უნივერსიტეტი და ქობულეთის რესურსცენტრი.

2.8 განმარტებითი შენიშვნები

აუდიტის მიგნება

სამინისტროს განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი აღრიცხვის ინსტრუქციით გათვალისწინებული სსბასს-ის შესაბამისად განსაზღვრული ინფორმაცია, კერძოდ:

დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბრით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სსბასს 20-ის – „დაკავშირებულ მხარეთა შესახებ განმარტებითი შენიშვნები“ მოთხოვნათა შესაბამისად.

განმარტებით შენიშვნებში არ არის დეტალური ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების შესახებ და არ არის წარმოდგენილი სტანდარტით მოთხოვნილი სხვა ინფორმაცია.⁴³

⁴¹ სსბასს 4, მუხლი 27.

⁴² რესურსცენტრმა დაფინანსება სამინისტროსგან მიიღო 2019 წლის 30 დეკემბერს და მასწავლებლებს თანხა გადაურიცხა 2020 წლის იანვარში.

⁴³ სსბასს 20, მუხლები: 27 - 41.

საანგარიშგებო წლის წინა წლის ოპერაციები

2020 წლის წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო წლის წინა წლის ოპერაციები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი ფინანსური ანგარიშგებისგან განსხვავდება შემოსავლების მუხლში – 77,590,254 ლარით, ხოლო ხარჯების მუხლში – 142,697,862 ლარით. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ პროექტი „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს“ და ა(ა)იპ – ქუთაისის საუნივერსიტეტო კომპლექსი 2020 წელს აღარ შედიოდა სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებში.

აღნიშნული ინფორმაცია არ არის განმარტებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

განუსაზღვრელი ვადის მქონე აქტივები

თსუ-ს აღრიცხული აქვს „არამატერიალური აქტივები“, რომლებიც, მისი შეფასებით, განუსაზღვრელი ვადის მქონე აქტივებია, სულ – 117,493 ლარის საბალანსო ღირებულებით. აღნიშნული აქტივების განუსაზღვრელი ვადის შესახებ დასაბუთება არ არის წარმოდგენილი განმარტებით შენიშვნებში.⁴⁴

ჩამოსაწერი აქტივები

ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის ასახული ინფორმაცია ისეთი აქტივების შესახებ, რომლებიც პირველადი შეფასებით არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს, კერძოდ, **სამედიცინო უნივერსიტეტის**⁴⁵ და **ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის**⁴⁶ საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნის მიხედვით, ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხულია ძირითადი აქტივები, რომლებიც ჩამოსაწერია, ჯამური ღირებულებით – 38,576 ლარი.

დებიტორული დავალიანების ანარიცხები

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს ჩამოწერილი აქვს სწავლის გადასახადისათვის დარიცხული დებიტორული დავალიანებები, სულ – 196,438 ლარი. სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით, უნივერსიტეტი მოთხოვნებს აკრედიტებული სწავლებიდან, გაუფასურების ანალიზის დროს განიხილავს ცალკე ჯგუფად, რომლისთვისაც იყენებს გაუფასურების კოეფიციენტს – 3%-ს. სააღრიცხვო პოლიტიკასა და განმარტებით შენიშვნებში არ არის გამჟღავნებული, რა გამოცდილებას ეყრდნობა არსებული კოეფიციენტით შეფასების მეთოდი.⁴⁷

„შრომის ანაზღაურებისა“ და „საქონელი და მომსახურების ხარჯების“ განსხვავებული კლასიფიკაცია

ორგანიზაციებს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, „სუბსიდიის“ მუხლიდან გაცემული აქვთ შტატით და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა შრომის ანაზღაურება და მივლინების ხარჯები, კერძოდ:

სამედიცინო უნივერსიტეტს⁴⁸ და **თსუ-ს**⁴⁹ შტატით დასაქმებული თანამშრომლების შრომის ანაზღაურება აღრიცხული აქვთ მუხლში – „გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები“, სულ – 9,167,032 ლარი;

⁴⁴ სსბასს 31, მუხლი 121.

⁴⁵ 24,251 ლარი.

⁴⁶ 14,325 ლარი.

⁴⁷ სსბასს 1, მუხლი 132.

⁴⁸ 669,759 ლარი.

⁴⁹ 8,497,273 ლარი.

სამედიცინო უნივერსიტეტს,⁵⁰ თსუ-ს,⁵¹ ტექნიკურ უნივერსიტეტს⁵² და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს⁵³ ხელშეკრულებით დასაქმებული თანამშრომლების შრომის ანაზღაურება აღრიცხული აქვთ მუხლებში – „გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები“ და „ხარჯები შიდა ტრანსფერებით“, სულ – 5,404,563 ლარი;

სსბასს 1-ის – „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“⁵⁴ მიხედვით, სამართლიანი და შესაბამისი ინფორმაციის წარსადგენად, ერთეულმა განმარტებით შენიშვნებში აღიარებული ხარჯები უნდა დაყოს ქვეჯგუფებად, რათა ნათლად გამოიკვეთოს ანგარიშვალდებული ერთეულის კონკრეტულ პროგრამებსა და სხვა საქმიანობებზე გაწეული დანახარჯები.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, სამედიცინო უნივერსიტეტი, თსუ, ტექნიკური უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

2.9 ბუღალტრული აღრიცხვა-სააღრიცხვო პოლიტიკა

აუდიტის მიგნება

ტექნიკურ უნივერსიტეტს ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება ძირითადად მომზადებული აქვს საკასო მეთოდით, ნაცვლად დარიცხვის მეთოდისა, რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს.⁵⁵ მაგალითად, მუხლში – „ხარჯები შიდა ტრანსფერებით“ თანხები ასახულია საკასო მეთოდით, აღიარებული ოპერაციები ასევე ასახულია როგორც ძირითადი/არამატერიალური აქტივები და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები, სულ – 117,738 ლარი. ასევე: ტექნიკურ უნივერსიტეტს კონტრაქტორი ორგანიზაციების შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით აღრიცხული აქვს საკასო მეთოდით, სულ – 107,169 ლარი და არ არის აღრიცხული დარიცხული ჯარიმები, სულ – 128,153 ლარი.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

ტექნიკური უნივერსიტეტი.

2.10 მატერიალური მარაგები

აუდიტის მიგნება

სამედიცინო უნივერსიტეტს:

- 1) ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს 154,317 ლარის ვადაგასული მატერიალური მარაგები. უნივერსიტეტის განმარტებით, ვადაგასული მარაგების უდიდესი ნაწილი 2015 წელს კლინიკის⁵⁶ გახსნისას შეძენილ მედიკამენტებზე მოდის. იმ დროისათვის შეუძლებელი იყო ზუსტად განესაზღვრათ, რომელი სამედიცინო მიმართულება, რა დატვირთვით იმუშავებდა და გახარჯავდა მედიკამენტს, თუ სახარჯ მასალებს. მარაგი სრულად და დეტალურად არის აღრიცხული და უახლოეს მომავალში დაგეგმილია მისი ჩამოწერა დადგენილი წესით;
- 2) 2020 წლის დეკემბრის ხარჯი აღიარებული აქვს 2021 წელს, სულ – 8,066 ლარი.

⁵⁰ 225,380 ლარი.

⁵¹ 432,961 ლარი.

⁵² 463,009 ლარი.

⁵³ 4,283,213 ლარი.

⁵⁴ სსბასს 1, მუხლები: 93, 106, 109, 111.

⁵⁵ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 2.

⁵⁶ პირველი საუნივერსიტეტო კლინიკა.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამედიცინო უნივერსიტეტი.

2.11 არამატერიალური აქტივები

აუდიტის მიგნება

უნივერსიტეტების ავტორიზაცია-აკრედიტაციის შესწავლისას გამოვლინდა შემდეგი:

- 1) სამედიცინო უნივერსიტეტს არ ჰქონდა აღრიცხული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაცია, სულ საბოლოო ნაშთი – 26,982 ლარი. ასევე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია აღრიცხულია „საქონლისა და მომსახურების ხარჯის“ მუხლში, ნაცვლად „არამატერიალური აქტივისა“, სულ საბოლოო ნაშთი – 32,632 ლარი;
- 2) ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს არ ჰქონდა აღრიცხული საგანმანათლებლო პროგრამის სამი აკრედიტაცია, სულ საბოლოო ნაშთი – 3,624 ლარი.

კომპონენტები, სადაც
გამოვლინდა დარღვევა

სამედიცინო უნივერსიტეტი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების უტყუარი და სამართლიანი წარდგენის უზრუნველსაყოფად, შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადებისას უზრუნველყოფს შიდაჯგუფური ოპერაციების შედარებას და ელიმინირებას (გამორიცხვას).
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, განხორციელდეს ბალანსზე აღრიცხული მოთხოვნების და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, დებიტორ-კრედიტორებთან გაფორმდეს ურთიერთშედარების აქტები. შეფასდეს მათი რეალობა, ხანდაზმულობა, ამოღების ალბათობა და ა.შ. მოცემული შეფასების საფუძველზე ხელმძღვანელობის მიერ მიღებულ იქნეს ამ სფეროს მარეგულირებელ ნორმატიულ მოთხოვნათა შესაბამისი გადაწყვეტილებები.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდეს ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული აქტივების შეფასება და აღრიცხვა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის საფუძველზე განხორციელდეს გაწეული ხარჯების შეფასება (კაპიტალური, მიმდინარე) და მათი სწორი სააღრიცხვო კლასიფიკაცია სამუშაოების მიმღებთან.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	შესაბამისი შეფასების საფუძველზე იმ ობიექტების მიხედვით, რომლებიც არ აკმაყოფილებენ ძირითად აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, დაკორექტირდეს აქტივების ნაშთი.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.
რეკომენდაცია	ფინანსური ანგარიშგების საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით, განხორციელდეს ლიკვიდირებული პროფესიული სასწავლებლებისა და კოლეჯების, სამეცნიერო ცენტრებისა და ინსტიტუტების ბალანსზე რიცხული აქტივების ინვენტარიზაცია, აქტივად აღიარების კრიტერიუმების შეფასება და შესაბამისი აღრიცხვა.
რეკომენდაციის შესრულების სტატუსი	ნაწილობრივ შესრულებული.

რეკომენდაცია

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად და უტყუარად წარდგენის მიზნით, შემუშავდეს და დამტკიცდეს დეტალიზებული, ორგანიზაცი(ებ)ის ძირითადი ოპერაციების ამსახველი სააღრიცხვო პოლიტიკა, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფინანსურ ანგარიშგებაში არასწორი ინფორმაციის ასახვასთან დაკავშირებული რისკის შემცირებას და მომხმარებლისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გამჟღავნებას.

**რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი**

მიმდინარე.

რეკომენდაცია

აქტივების დაცულობის უზრუნველსაყოფად, ასევე ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით მნიშვნელოვანია, რომ სამინისტროს ყველა დაქვემდებარებულმა უწყებამ ყოველწლიურად შექმნას საინვენტარიზაციო კომისიები და განახორციელოს:

1. სასაქონლო-მატერიალური მარაგების და გრძელვადიანი აქტივების ფაქტობრივი აღწერა (3 წელიწადში ერთხელ – უძრავი ქონება).
2. ზედმეტობაზე/დანაკლისებზე შემდგომი რეაგირება და კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება.
3. დებიტორებთან/კრედიტორებთან ურთიერთშედეგების აქტების გაფორმება.
4. ხანდაზმული დავალიანებების ბალანსგარეშე საცნობარო მუხლში გადატანის საკითხის გადაწყვეტა.

**რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი**

მიმდინარე.

რეკომენდაცია

შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სახელფასო დანამატების გაცემის მატერიალური კანონიერების დამადასტურებელი მტკიცებულებების შექმნას.

**რეკომენდაციის შესრულების
სტატუსი**

მიმდინარე.

გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის პროცესზე პასუხისმგებელ პირი	მარიამ ჭოლოკავა mcholokava@sao.ge
სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის სისტემა	https://aris.sao.ge/
ვებგვერდი და სოციალური მედია	https://www.sao.ge/ https://www.budgetmonitor.ge/ka http://www.blog.sao.ge/ http://www.sai.ge/main/ https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/ https://www.youtube.com/user/saogeorgia https://www.facebook.com/www.sao.ge
ცხელი ხაზი	(+995 32) 243 81 81
ელექტრონული ფოსტა	sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE